

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2016 წლის ანგარიში

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, უნივერსიტეტის დებულების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2016 წელს წარმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის N 07/ნ და 2016 წლის 18 აგვისტოს ბრძანებების შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანასა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და სამუშაო ვერსიების შემუშავებაში.

საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში განხორციელდა ცვლილებები. საბაკალავრო, ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტის ელემენტებში დაიხვეწა სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. შუალედური შეფასების ფორმაში გაიზარდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. განისაზღვრა საგანმანათლებლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისათვის ცოდნის გადაცემის საშუალებები. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX -ის მიღების შემთხვევაში შეიცვალა დამატებითი გამოცდის დანიშვნის ვადები, კერძოდ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), რაც გულისხმობს სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში კი სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. ცვლილებებთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან.

2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სასწავლო პროცესის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების, საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი. ეს უკანასკნელი გულისხმობს პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასებას, ტექნიკურ ექსპერტიზასა და ხარვეზების დადასტურების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას;

რეგულარულ საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. იხვეწება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში (მობილობის პროცესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარების შევსება, კონფერენციაში „ცვლილებები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში - განვითარებასა და შედეგზე ორიენტირებული მექანიზმების ხელშეწყობა“ და სხვ.).

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა საბაკალავრო (სამართალმცოდნეობა, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, ფინანსები და საბანკო საქმე, ტურიზმი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ჟურნალისტიკა, ინგლისური ფილოლოგია), ერთსაფეხურიანი (სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია), სამაგისტრო (სამართალი, სისხლის სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ჟურნალისტიკა, ინგლისური ფილოლოგია), სადოქტორო (მედიცინა, სამართალი, ეკონომიკა) საგანმანათლებლო პროგრამების 2016 წლის აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები;

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა სდასუ-ს ავტორიზაციის ყოველწლიური თვითშეფასების წლიური ანგარიში.

2016 წელს უნივერსიტეტი მონაწილეობდა გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში გამოცხადებულ მობილობის პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო მობილობის მსურველი სტუდენტების სდასუ-სა და სხვა უსდ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების პროცედურებში.

2016 წელს განხორციელდა 3 სადისერტაციო ნაშრომის დაცვა. დაცული იყო 43 სამაგისტრო ნაშრომი (სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება).

2016 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უპასუხა ოფიციალურად შემოსულ კორესპონდენციებს, რომლებიც ეხებოდა სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების აღიარებას, საკანონმდებლო ცვლილებებს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წლიურ ანგარიშებს და სხვა.

2016 წელს სააკრედიტაციოდ მომზადდა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. საბაკალავრო პროგრამა: „საერთაშორისო ურთიერთობები“
2. სამაგისტრო პროგრამა: „საერთაშორისო ურთიერთობები“

2016 წლის განმავლობაში განახლდა–განვითარდა ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და სასწავლო მასალები; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო ახალი/განახლებული სახელმძღვანელოებით. ბიბლიოთეკის ფონდით სარგებლობის და სასწავლო პროცესის გამარტივების მიზნით ხდებოდა ბიბლიოთეკის ფონდში არსებული სახელმძღვანელოების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა; სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები ამზადებდნენ თემატურ სიუჟეტებს სდასუ TV-სთვის გადაცემებში: „სამართლებრივი სივრცე“ „ჯანმრთელობის ფორმულა“, „ხიდი“, „25-ე კადრი“ და სხვა. განხორციელდა სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პროექტები; განახლდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემა; ჩატარდა სტუდენტთა XXIV სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალები გამოიცა ბროშურის სახით.

TEMPUS-ის საგრანტო პროექტის “ბიოლოგიისა და მედიცინის დარგებისთვის მულტიდისციპლინარული ინოვაციური ცენტრების შექმნა ვირტუალური ლაბორატორიების განვითარებისათვის (EMICVL)” ფარგლებში უნივერსიტეტმა არაერთხელ უმასპინძლა პროექტში ჩართული სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებს.

მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით ჩატარდა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურს(ებ)ი.

უნივერსიტეტის დაფინანსებით პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ სოციალური მნიშვნელობის, გამწვანების და დასუფთავების აქციებში. ბავშვთა და მზრუნველობამოკლებულთა სახლებში აწყობდნენ ღონისძიებებს.

წლის განმავლობაში სტუდენტების მხარდასაჭერად პერიოდულად ცხადდებოდა სდასუ-ს ქართულ-ინგლისურ სტომატოლოგიურ კლინიკაში სხვადასხვა აქცია, რომლის ფარგლებშიც კლინიკის პერსონალი ფასდაკლებით ემსახურებოდა სტუდენტებს.

2016 წელს ჩატარდა თემატური სემინარები, საინფორმაციო შეხვედრები დაუნის სინდრომის, ტუბერკულოზთან ბრძოლის, ბავშვთა დაცვის, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის, ნარკომანიასთან ბრძოლის, დიაბეტის, შიდსთან ბრძოლის, შშმ მსოფლიო დღეების აღსანიშნავად.

2016 წელს მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს შორის. ასევე გაფორმდა/განახლდა ხელშეკრულებები კლინიკურ ბაზებთან.

მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა სტუდენტებისათვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციები, შეხვედრები საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენლებთან. სტუდენტების მონაწილეობით იმართებოდა ინტელექტუალური თამაშები, პოეზიის საღამოები, ფოტოკონკურსები. სტუდენტები მონაწილეობდნენ სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში. წითელი ჯვრის ორგანიზებით სტუდენტებისთვის ჩატარდა პირველადი დახმარების ტრენინგი, კომინალისტიკის სასერტიფიკატო კურსები, იმიტირებული სასამართლო პროცესები.

ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებაზე წარმოდგენილი სტუდენტთა ესეები უნივერსიტეტის დაფინანსებით გამოიცა ბროშურის სახით.

2016 წელს უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პერსონალმა მონაწილეობა მიიღო სისხლის უანგარო დონაციებში. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს სისხლის უსაფრთხოებისა და უანგარო დონორობის კამპანიის მხარდაჭერისათვის სიგელი გადასცა.

სტუდენტთა ინიციატივით საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეზოში ჯგუფი „ფრანის“ მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა პირველკურსელთა მისაღები საღამო და საახალწლო კარნავალი.

